№ 39 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 20 მან. შაბათი, თებერვლის 19 1921

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 20 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 30 მან. 4-ზე გ. 20 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 1000 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 310 მ. სასმართლ. უწყ. განცხადებანი 600 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

## გენერალური შტაბის ცნობა.

18 თებერვლის განმავლობაში ჩვენი მდგომარეობა ტფილისის დაცვის შესახებ მლიერ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოთ. მტრის შემოტევა შეჩერებულია. ლაგოდეხში შირაქის ველზე ბრძოლა სწარმოებს.

## გენერალ-გუბერნატორისაგან

ქალ. ტფილისის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების, რესპუბლიკის რკინის გზების და ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროების რაიონის გენერალ-გუბერნატორმა შემდეგი ბრძანება გამოსცა:

ქუჩებში უსაქმო მოქალაქეების შეჯგუფება ან სეირნობა სრულიად შეწყდეს. ყოველი მოქალაქე ვალდებულია თავის საქმეს მოკიდოს ხელი და ვინც უსაქმოა, ბინებში გაჩერდეს.

ღამის ათი საათის შემდეგ ქუჩებში მოსიარულე კერძო პირები, თანახმად ჩემი წინანდელი ბრძანებისა, დაპატიმრებულნი იქნენ.

შეიარაღებულ მოხალისეებს, რომლებიც ქალაქში წესიერებას იცავენ ან მილიციის ვალდებულობას ასრულებენ, ნიშნები უნდა ქონდეს მარცხენა მკლავზე გაკეთებული და ყველას სათანადო მოწმობა ზურგის უფროსის პოლკ. სულაქველიძის მიერ მიცემული.

როგორც მოხალისეები აგრეთვე მილიცია შუა ქუჩებში დადიოდენ მწყობრათ და არა ტროტუარებზე.

პოლკ. სულაქველიძეს ევალება ზემოთ ხსენებული ნიშნების ფორმა, ერთგვარი ყველასათვის, მან შემოიღოს და სათანადო განკარგულება გასცეს დაუყოვნებლივ განხორციელდეს და მთელი ამა ბრძანების შესრულების თვალყური დააკისროს ყველა მის უფროს ხელქვეით თანამშრომლებს.

გენერალ-გუბერნატორი აღმოსავლეთ საქართველოსი **ჩხიკვიშვილი.**

## ჩვენ ვიმარჯვებთ

მტერმა ზურგი იბრუნა. მან ველარ გაუძლო ჩვენი მამაცი ჯარისა და გვარდიის გმირულ შეტევას; შერცხვენილი, მწარედ დამარცხებული უკან ბრუნდება, ის მოსტყუვდა ანგარიშში; მას ეგონა ქართველი ერი ისეთი უდისციპლინო, შეუგნებელი, ბრბო გამოდგებოდა, როგორც ადერბეიჯანისა და სომხეთის ბეჩავი ხალხი! მას არ ეგონა თუ საქართველოს დემოკრატია ამოდენა რევოლიუციონურ სულს და განწირულ სულისკვეთებას გამოიჩენდა თავისუფალ, დემოკრატიულ სამშობლოს დასაცავად.

დე, ეხლა მაინც იცოდეს მუხანათურმა, ვერაგმა მტერმა, რომ საქართველო სიკვდილს ამჯობინებს მათ ხელში ცოცხლად ჩავარდნას.

ეხლა მაინც დროა შეიგნოს, რომ საქართველოს რევოლიუციონური დემოკრატიის ამაყი სულის დაპყრობა არ არის ადვილი, ის არ არის ჩვეული დამარცხებას, მისი ისტორიის ფურცლები მუდამ გამარჯვებით ხასიათდება.

დროა გაიგონ ამ უმგზავსო, იმპერიალისტებმა, რომ საქართველოს არ სწამს მათი სამოთხე; ქართველმა დემოკრატიამ დიდი ხანია დაგმო ამ არა მკითხე ბატონ-პატრონობის მფარველობა.

მაგრამ, განა ოდისმე ამას გაიგებს პირსისხლიანი მტერი, რომელსაც ამოძრავებს მხოლოდ მტაცებლობისა, სხვისი განადგურებისა და დამონების ინსტიქტი? განა ასეთი ხალხი ოდესმე ჩაწვდება ქართველი ერის წმიდა გულის ზრახვებს? არასოდეს, მას მხოლოდ ტყვია და ხმალი ასწავლის ჭკუას, და ქართველმა ერმაც გადასწყვიტა ერთხელ და სამუდამოთ იარაღისვე საშუალებით ასწავლოს ჭკუა ამ ქურდ, მუხანათ, წითელ რუს ჟანდარმის ქურქში გახვეულ მტერს.

ამისათვის საქართველოს დემოკრატია მანამ არ ჩააგებს ხმალს ქარქაშში, სანამ ლაჩარი მტერი არ დაიჩოქებს და არ სთხოვს მას პატივებას ამას კი მალე მოვესწრებით!

მაშ, წინ, ჩვენო მამაცო და გულადო ჯარო და გვარდია, თქვენთან არის მთელი საქართველო.

**თავისუფალ სამშობლოს შვილნო! ვერაგმა მტერმა ზურგი იბრუნა! კიდევ ერთი გმირული შეტევა და მტერი ჩვენ ფეხ ქვეშ იქნება.**

## ისტორიული დღე.

1921 წ. 17 თებერვალი ღირს-შესანიშნავ, დიდ ისტორიულ დღედ დარჩება.

ერის ცხოვრებაში ასეთი დღე იშვიათი არი.

ერი ცოცხალი ორგანიზმია. მისი მაჯა სჩქეფს მთელი თავისი სიძლიერით. ყოველ ერს თავისი სახე აქვს.

საქართველოს სახე ყოველთვის დიდებით და შარავანდედით იყო მოცული.

დიდებულია ეს სახე: დაისრული და დალარული.

ბევრი რამ განუცდია ამ სახეს.

დღესაც არა ჩვეულებრივ განცდაშია იგი.

17 თებერვალს მთელი ერი აზვირთდა როგორც მთიდან გადმოხეთქილი ნაკადი.

ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს გადავარდა ამბავი:

საქართველო უნდათ მოსპონ. თავისუფალ ქვეყანას იპყრობენ, იმონებენ.

საქართველო მონობას არა სჩვევია. იგი სიკვდილს ამჯობინებს და მონად, ყურ-მოჭრილ ყმად კი არავის ჩაუვარდება ხელში.

აღსდგა მთელი საქართველო. აღსდგა ერი, შეიძრა მთელი ხალხი და თავის დასაცავად ერთს წამს აღმართა მტკიცე უზარმაზარი კედელი.

ამ დღეს ძველი ტფილისი, მაგრამ არა, მთელი საქართველო ახმაურდა. გამოვიდა შეიარაღებული და გაცეცხლებული.

ქურდულად დაგვეცა დაუძინებელი მტერი. ზურგიდან მოგვიარა მან და მახვილი ჩაგვცა, მაგრამ ამ მახვილმა საქართველოს მტკიცე გული, სხივ ქვეშ გაშლილი, ვერ მოსდრიკა, ვერ დასჭრა სასიკვდილოდ.

ამ მახვილმა დიდი და პატარა ფეხზე დააყენა.

შეასწორებინა ქოჩორი და წამოიყვანა როგორც შურდული.

მტარვალი მუდამ ეძებს ძვირფას განძეულს.

ქურდი და მაწანწალა ყოველ დროს იმის ცდაშია რომ წაგგლიჯოთ და წაგართვათ საკუთარი სიმდიდრე და ავლა-დიდება.

საქართველოს კი დიდი სიმდიდრე აქვს.

სიმდიდრეა ჯერ მისი გული.

მაღალი და სპეტაკი.

სიმდიდრეა მისი ბუნება.

ცხრა თვალა მზე რომ დაჰყურებს და დაჰფარფატებს „ცა ფიროზ, ხმელეთ ზურმუხტსა“.

სიმდიდრეა მისი დიდებული ისტორია.

უთვალავ ფურცლით შემკული და დიადი ამბებით „საქმენი საგმირონი“-თა შეთხზული.

შედუღებულია თავისი სიტყვა-კაზმით და დარბაისლურ მჭერ-მეტყველობით.

საქართველო მზიური ქვეყანაა
რუსთველის ქვეყანა.

ჩვენი კულტურა მძიმეა, მისი დამვრა და გაქრობას ვერა მტარვალი ვერ შესძლებს.

დაე იჩხავლონ შავმა ყორნებმა

საქართველოს ამწვანებულ, ახავერდოვნებულ მინდვრებზე „დაფი და ნაღარა“ გაისმის.

ქართველი ხალხი ომში წასასვლელად ისე ემზადება როგორც სასიხარულო ქორწილში.

საქართველოს ხშირად ჭირი ლხინად გადუქცევია. ეს ჭირი მუდამ ომი იყო. ომი კი საქართველოს ზეიმი იყო.

ეს ამბავი გაიგო:
ლიახვის ხეობამ,
ალაზნის ველმა
და რიონის ნაპირებმა.

ბუდიდან ამოხეთქილან და ერთად შეერთებულან

გაერთიანებული საქართველო მოდის აჯანყებულ მტრების წინააღმდეგ

მისი მახვილი კიდევ ერთხელ გაიელვებს და ყველას რისხვას დასცემს.

ქართლოსის ბჭენო! ნუ შედრკებით.

„მოდის მუხრანი, მოზუზუნებს ფშავ-ხევსურეთი, მოჰქრის კახეთი“.

**ვინც დღეს ომში არ მონაწილეობს ის სამშობლოს მოღალატეა! მაშ ყველა ფრონტისკენ.**

## ბოლშევიკები ჩვენს საზღვრებზე უნდა დამარცხდნენ.

ბოლშევიკები ყველას შეურიგდებიან, ყველას დასთმობენ საქართველოს კი ვერა. საქართველოს მოსპობა ბოლშევიკურ რუსეთისთვის „იდე-ფიქს“-ად გარდაიქცა. ეს აზრი არ ასვენებთ ბოლშევიკებს.

უკვე გამოირკვა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ამ შეტაკებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ რუსი ბოლშევიკები. დირექტივები ბაქო-ერევნიდან კი არა—თვით წითელ მოსკოვიდან მოდის.

ლენინმა მაინც ამ ნახევარ წლის წინად სთქვა:

„ჩვენი გენერალური ბრძოლა საქართველოს საზღვრებთან უნდა მოხდესო. ჩვენი გამარჯვება თუ დამარცხება საქართველოს ტერიტორიაზე იქნებაო“.

ყვავს რუსეთზე წინასწარ დაუჩხავლია. დღეს საქართველოს კარს ისევ რუსეთი მოადგა და სიმაგრის გატეხას ლამობს.

გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ბოლშევიკურ რუსეთის საბოლოო „კრახი“ უეჭველია ჩვენს საზღვრებზე დამთავრდება. ბოლშევიკების წინააღმდეგ დღეს მარტო საქართველო არ იბრძვის. მთელი დაღესტანი, საჩეჩნეთი, მთიელნი და მთელი ევროპა იღებს ხმალს ბოლშევიკების შესამუსრავად.

რუსეთს პილატესავით უნდა ხელები დაიბანოს და თავისი ცოდო სხვას გადააბრალოს. აზერბეიჯანი და სომხეთი საბჭოთა რუსეთს უნდა ბრმა იარაღად გამოიყენოს.

რაც უნდა ადგილობრივმა რუსეთის მისიამ გვფიცოს—ველარ დავიჯერებთ, რადგან მათ საქმეს და სიტყვას-შორის დიდი უფსკრული ძევს და ერთი მეორის საწინააღმდეგო საქციელი პირდაპირ ამტკიცებს მათ მზაკვრულ პოლიტიკას.

დიახ, ლენინმა მართალი სთქვა: ბოლშევიკების ბედი საქართველოს საზღვრებზე უნდა გადასწყდესო.

დღეს სწორედ დადგა მომენტი, როდესაც ბოლშევიკები ჩვენ საზღვრებზე უნდა დამარცხდნენ.

**მეტი სურსათი, მეტი სითფო და სიტკბო ჩვენს ფრონტს! ყველა და ყველაფერი მისთვის!**

## გმირი სარდალი
### გენერალი კვინიტაძე

იცნობთ გენერალ კვინიტაძეს?

თუ არ იცნობთ, დღეიდან იცოდეთ, რომ ის არის გმირი სარდალი სამხედრო კულტის შემომქმედი.

დიდი სტრატეგი.

საქართველოს ჯარის სულის ჩამდგმელი.

საქართველოს მტრის თავზარდამცემი.

როგორც მზე ისე მოევლინა ქართველ მხედრობას და გაათბო მათი სხეული.

როგორც რისხვა ისე დაატყდა თავს საქართველოს მტერს.

ალაფრთოვანა ქართველი მეომარი
და კიჟინა დასცა ქართველ მტრებს.

კვინიტაძე და საქართველოს ჯარი.

საკმაო იყო მისი სახე ფრონტზე, რომ მთელი საქართველოს ჯარი ყალყზედ დამდგარიყო

ფაფარ ასხმული და როგორც ლომი მტერს კვეთოდა.

ასეა, როდესაც ხალხის შვილი, ერთი შესუნთქვით შეისისხლხორცებს თავის ერის ჭრილობებს და განკურნავს უებარ წამლით და ხალხს გადააქცევს მდევ გმირად.

გმირმა კვინიტაძემ ჩვენ ჯარშიაც მხოლოდ გმირები ნახა.

სულმა სული იცნო და გულმა გული.

საქართველოს ისტორიას ბევრი გმირი ახსოვს.

საქართველოს გმირებს კიდევ ერთი გმირი მიემატა.

ეს არის გენერალი კვინიტაძე, რომელმაც ისეთი ცეცხლი დაანთო ქართველ ჯარისკაცის გულში, რომ მისი გაქრობა თვით სიკვდილსაც აღარ შეუძლიან.

ადამიანი მხოლოდ ისპობა ნივთიერად. სხეული ჰქრება,

მაგრამ სული მარად უკვდავია და მარად მშვენიერების გამომსახველი.

ვაშა ქართველ ადამიანის მაღალ ბუნებას.

გაუმარჯოს საქართველოს მხედრობას

და მის მთავარ სარდალ გმირს კვინიტაძეს, რომელმაც... მაგრამ ეხლა არ არის ხოტბისა და ქების დრო, ეს ისტორიის საქმეა; რომელიც გენერალ კვინიტაძესთანა გმირებს ოქროს ასოებით აღნიშნავს.

**ვინც ამ გაჭირვებაში ქართველ ერთან არ არის, ის მოღალატეა!**

## ომი და ქართველი ქალი

მტრის მუხანათურმა თავდასხმამ ქართველი ქალის გულში გააღვიძა ნამდვილი ქართველი დედის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც სულ მალე მტრის გამანადგურებელ ცეცხლის კოცონად გადაიქცევა.

არ გამართლდა დიდი ილიას ნათქვამი: „ქართლის დედაო, ძუძუ ქართლისა, უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა. დედის ნანასთან ქვითინი მთისა მას უმზადებდა მომავალ გმირსა“. დღევანდელი ქართველი დედაც კი უმზადებდა თურმე მამულს თავის შვილს, ის კი ნერგავდა მასში გმირულ სულს; ეს ნათლად დაამტკიცა ერთმა მოხუცმა ქართველმა დედამ, რომელმაც მიმართა ფრონტზე მიმავალ გმირებს: „წადით შვილებო, დაიცავით სამშობლო, დაიხოცეთ, ან შინ გამარჯვებული

მოდითო. იქ არის ჩემი ორი შვილი, და თუ საჭირო იქნა მეც მათ გვერდში ამოუდგები“-ო, ან კიდევ მეორე დედის მუდარა, რომელიც გულწრფელად მოითხოვდა, რომ ერთადერთი მისი 17 წლის შვილი ჩაეწერათ ფრონტზე წამსვლელთა რიცხვში. ქალთა ერთი ჯგუფი იარაღითაც კი გაეშურენ ფრონტისკენ.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ქალთა ორგანიზაციებმა დაადგინეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ომში; მათ გადაწყვეტილი აქვთ თოფით ხელში დაიცვან დედა-ქალაქი.

გარდა ამისა აუარებელი ქალები ჩაეწერენ სატონოების დებათ, და უკვე გაემგზავრენ ფრონტისკენ.

დიახ, უნდა იცოდეს მტერმა, რომ ქართველი კაცი და ქალი შეერთებულია მათთან ბრძოლაში, რომ ქართველი ერი დღეს წარმოადგენს ერის ჯანსაღს, მტკიცე, უძლეველ ეროვნულ სხეულს.

მოქალაქენო! ფრონტის გამარჯვება დამოკიდებულია ზურგის სიმტკიცეზე, დაიცავით შიგნით სრული წესიერება.

## ქართლი დაიძრა.

მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას და სახალხო გვარდიის შტაბს გორიდან მოუვიდა შემდეგი დეპეშა:

მთელი ქართლი ფეხზედ წამოიჭრა სამშობლოს გასაჭირის გაგებაზე. მისი საუკეთესო შვილები ყოველ დღე მიდიან ჯარში და გვარდიაში ნაწილების შესავსებათ, მოდის ბევრი მოხალისეებიც, ქართლის საუცხოვო შვილები, რომელნიც მზათ არიან მსხვერპლად შეეწირონ სამშობლოს. ვადგენთ მოხალისეთა რაზმებს გამოცდილი მეომარი არჩილ ფურცელაძის მეთაურობით და ვგზავნით ხვალ. რიცხვს შეგატყობინებთ. ხორბალი ბლომათ მოგვდის, სულიერი სიმტკიცე დიდია, ყველა თვალცრემლიანი აღელვებულია, მოსწავლე ახალგაზრდობა, მასწავლებლები მოხელეები, მთელი ხალხი ჭადარა ტფილისს თავს ევლება. მზათ არიან ყველანი მსხვერპლად შეეწირონ, სამშობლოსა და ტფილისს კი არავის დაუთმობენ. დიდი ერთსულოვნებაა, ყველა თავდაცვის საქმეზე გაერთიანებული მტკიცეთ ვმუშაობთ. ჩვენთანაა ერობა, ქალაქის ადმინისტრაცია, პარტიები კოოპერატივები. სასტიკათ ვიცავთ შიგნით წესრიგს. ყველა სახელმწიფო თუ საზოგადო მოხელე თავის საგუშაგოებზე შეგნებულათ და დაუღალავათ მუშაობს, ჩვენ მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან ერთად მზათ ვართ მსხვერპლად შევეწიროთ საქართველოსო, ისმის ქუჩებში და სკოლებში ძახილი. ჯარასავით დატრიალდა ქართლი. იმედი გვაქვს მტერი დავამარცხოთ. მათ შეუძლიანთ ჩვენს გვამებზე გადაიარონ, მაგრამ დამარცხებულს ჩვენს სამშობლოს და მის შვილებს ვერასოდეს ვერ იხილვენ.

**მთიელთა რაზმი.**

დონ-ყუბანელთა რაზმიც გუშინ პირველად გამოვიდა შეიარაღებული ტფილისის ქუჩებზე და ანგორის რაზმთან ერთად გაემართა ჩვენს ყაზარმებისაკენ. ხალხი ამ რაზმსაც დიდი აღტყინებით და ოვაციებით შეეგება.

## მე-10 ათასეულის გაცილება.

გუშინ ფრონტზე გაემგზავრა მე-10-ე ათასეული, ჯარისკაცები მამაცურად და ხალისიანად გამოიყურებოდენ. ყველას თვალები გამარჯვების იმედს გამოხატავდენ; სასახლის წინ მათ მიმართა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარემ მეტად მხურვალე და გრძნობით აღსავსე სიტყვით: „ჯარისკაცნო! სად მიდიხართ, ვის ებრძვით, ვისთვის რა დაგვიშავებია, ვის რა წავართვით, რატომ არ გვაძლევენ საშვალებას ვიარსებოთ ვიცოცხლოთ, ავლორძინდეთ, რას გვერჩიან რას? (ისმის ქვითინი და დაუსრულებელი ტაში) იცოდეთ, რომ თქვენთან არის მთელი საქართველო; დამფუძნებელი კრება ფიცსა სდებს თქვენს წინაშე, რომ ის მუდამ თქვენთან იქნება, თქვენ წინამძღოლად“. კვლავ დაუსრულებელი ტაში, გაუმარჯოს და „ვაშას“ ძახილი ფარავს მის სიტყვებს. აუარებელ ხალხში ენტუზიაზმი ძლიერდება, ყველას იპყრობს ჯადოსნური ძალა, თავისუფალ სამშობლოს და მისი მიწა-წყლის დაცვისა, ყველა გრძნობს მტრის ვერაგობას, გამსჭვალულია ყველა ერთი გრძნობით შემუსრონ მტერი.

მეტად შინაარსიანი სიტყვით მიმართა აგრეთვე მე-10-ე ათასეულს იმავე ათასეულის უფროსმა გენ. წულუკიძემ, რომელმაც განუმარტა მებრძოლთ მომენტის სირთულე, და სამშობლოსათვის თავდადების საჭიროება, უსურვა მათ ფრონტიდან გამარჯვებული დაბრუნება.

ჯარისკაცები კიდევ უფრო გაამხნევა გრძნობით აღსავსე, სიტყვებმა და მხიარულად გაეშურენ ფრონტისაკენ.

## ადერბეიჯანისა და მთიელთა კომიტეტი

ტფილისში შესდგა ადერბეიჯანელთა და მთიელთა კომიტეტი. კომიტეტის მიზანს შეადგენს ადერბეიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკების განთავისუფლება ბოლშევიკებისაგან. კომიტეტი შესდგება 7 კაცისაგან: 4 მთიელია და 3 ადერბეიჯანელი.

კომიტეტში შედიან: ჰაიდარ ბამმატი, ახედ ცალიკოვი, ალიხან კანტემირი, მუსტაფა ვექილოვი, შახიმ გირეი და სხ.

კომიტეტი უკვე შეუდგა მოხალისეთა რაზმის შედგენას. უკვე ჩაეწერა 200 მდე მთიელი და ადერბეიჯანელი, უმთავრესად ყოფილი სამხედრო პირები.

,,მამულის შვილნო! სამშობლო დაიცავით. ამით თქვენ ოჯახს დაიცავთ. ხელი შეუწყეთ ფრონტის გაძლიერებას‘‘.

## საქართველოს ყველა კუთხე დაირაზმა

**ბათომის ლაშქარი.**

პანიკის იდუმალობა პირველად განფანტა ბათომიდან მოსულმა ლაშქარმა, რომლის საგმირო სანახაობამ და ცერემონიალურ მარშით გავლამ მუსიკით რუსთაველის პროსპექტზე დედა ქალაქის ერთგულთ მამულიშვილთ სიხარულის ცრემლები აფრქვეინა და იმედი აუყვავა საუკეთესო დღეებისაკენ. ლაშქარს მადლიერი ერი „ვაშას“ ყიჟინით შეეგება.

**ახალციხის ლაშქარი.**

მართლაც გუშინდელი დღე უფრო მზიანი აღმოჩნდა. ბათომის ლაშქარი, რომელიც უკვე გაემგზავრა ფრონტზე შესცვალა ახალციხიდან მოსულმა ქვეითად მამაცმა ლაშქარმა. ახალციხის ლაშქარს სასახლის წინ დიდის ზეიმით შეეგება აღტაცებული ზღვა ხალხი.

განცდის კულმინაციური საზღვარი გადალახა იმ წუთმა როცა ლაშქრის უფროსმა გენ. წულუკიძემ აღტყინებულ სიტყვის შემდეგ გადაჰკოცნა თვის გვერდზე მდგარ თავის ჯარისკაცს. ზეიმი დააგვირგვინა კარლო ჩხეიძის სიტყვამ, რომელშიც გაუთვალისწინა მტრის უმადურობა, როცა 1905 წელს ქართველ დემოკრატიამ სომეხ თათართა შეტაკების დროს თვისი ჩარევით გადაარჩინა ამოჟლეტას. დასასრულ უსურვა გამარჯვება დემოკრატიას და ბრძოლის ველზე მიმავალ ლაშქარს. ხალხმა ვაშას ძახილით და მქუხარე ტაშით დაჰფარეს ჩხეიძის სიტყვა. სამხედრო მუსიკამ შეასრულა ეროვნული ჰიმნი, რის შემდეგ ლაშქარი დაიძრა ბრძოლის ველისაკენ. ლაშქრის ახოვნობა, გულადობა და იდუმალი ღიმილი სახეზე სიხარულის შუქსა ჰფენდა მოქალაქე მამულიშვილთ და ტაშით ეგებებოდა ლაშქარს გზა და გზა.

,,საქართველოს კიდევ მუხანათური მტერი ემუქრება განადგურებით. გადაარჩინეთ ამ განადგურებისაგან სამშობლო და თქვენი თავი‘‘.

## თავდაცვისათვის

**სამხედრო წესები.**

მთავრობის დადგენილებით ალმოსავლეთ საქართველოში გამოცხადდა სამხედრო წესები. გენერალ გუბერნატორად დაინიშნა ბ. ჩხიკვიშვილი.

**გენ.-გუბ. თანაშემწე.**

ტფ. გუბ. გენ.-გუბერნატორის თანაშემწედ დაინიშნა შ. მაღლაკელიძე, რომელიც უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

**შემოწირულება.**

ფრონტზე გამარჯვებით აღფრთოვანებულმა გრ. დიასამიძემ შესწირა თავის და თავისი ქალის სახელით სამშობლოს თავდაცვის საჭიროებისათვის ვერცხლეულობა, ღირებული დაახლოვებით $1/2$ მილიონ მანეთად.

,,ფხიზლად იყავი ქართველო ერო. მტერი არ ისვენებს. მას სისხლით უნდა მორწყოს ჩვენი ქვეყანა‘‘.

## ფრონტის დღე

გუშინ, 17 თებერვალს, ქალაქის საბჭომ აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც მიანდო ფრონტის დღის გამართვა. შაბათს და კვირას ქალაქის თვითმართველობა მართავს ფრონტის დღეს. შაბათს ქალაქის გამგეობა რამოდენიმე ტაჩკებით და ფურგუნებით ქალაქში მოაგროვებს ყოველგვარ შემოწირულებას ფრონტის საჭიროებისათვის. ქალაქის ხმოსნები განსაკუთრებულ წიგნაკებით შეაგროვებენ ფრონტის სასარგებლოთ ფულს და ნივთებს. კვირას ყულაბებით რამოდენიმე ასეული ფულის შემგროვებლები შეაგროვებენ ფულს.

## საქართველოს ყველა მუშათა ორგანიზაციებ.!

ამხანაგებო!

საქართველოს შემოესია საზიზღარი მტერი!

საბჭოთა სომხეთს მიემატა საბჭოთა ადერბეიჯანიც!

ისიც ქურდულათ და მოპარვით დაგვესხა თავს. თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა რუსეთის ჯარები. თავდასხმელთა მიზანია საქართველოს დაპყრობა, მისი დამოუკიდებელი მიწა-წყლის განადგურება, მისი თავისუფალი ხალხის აწიოკება.

ფეხზე დადექით დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად! დავირაზმოთ დაუყოვნებლივ და შემოვიკრიბოთ ბრძოლის ველზე მთელი მშრომელი ხალხი, მთელი ერი!

დღეს აღარ არსებობს ცალკე პარტია, ცალკე ორგანიზაცია. არსებობს მხოლოდ ერთი მთლიანი, საქართველოს დამცველი ფრონტი!

**ამხანაგებო!** არ დაიგვიანოთ არც ერთი წუთით, ახლავე შეადგინეთ მოხალისეთა რაზმები, რომლებიც ჯარსა და გვარდიასთან ერთად მტერს სასიკვდილო ლახვარს ჩასცემენ.

ჩვენ შემოგვყურებს დღეს მთელი კაცობრიობა!

საქართველოს საზღვრებზე სწყდება არა მარტო ჩვენი, არამედ—მთელი საერთაშორისო დემოკრატიის ბედი!

**ამხანაგებო!** მაშ, წინ, გამარჯვებისაკენ! ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ,—ჩვენ გავიმარჯვებთ! ამისი თავმდებია ჩვენი ხალხის ერთსულოვნება და აღფრთოვანება.

ძირს შავი ძალები! გაუმარჯოს თავგანწირულად მებრძოლ მუშათა კლასს!

გაუმარჯოს ჩვენი წიაღიდან გამოსულ დემოკრატიულ ჯარსა და სახალხო გვარდიას!

ძირს იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს **აღმასრულებელი კომიტეტი.**

## ქალაქის თვითმმართველობისაგან

მოქალაქენო! მტერმა ქურდულად და მუხანათურად გადმოლახა ჩვენი საზღვრები და ცდილობს სისხლში ჩაახჩოს საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. საფრთხე დედა ქალაქს უახლოვდება.

მტერი ვერ ურიგდება ჩვენში დემოკრატიის ბატონობას, თავისუფალ სახელმწიფოს ზრდა-განვითარებას, უკანასკნელ ძალებს იკრეფს, რომ ერთხელ კიდევ სცადოს ჩვენი დამხობა, დამონება და ფიზიკური განადგურებაც კი. მოქალაქენო, ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია გააფთრებით ეომება თავდასხმელ ურდოებს.

დამფუძნებელი კრება და მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ რესპუბლიკის და ხალხის გადასარჩენად. ამ დიდი განსაცდელის დროს თქვენ [illegible] განსაკუთრებული სიმშვიდე და წესიერება დაიცვათ. თვითეული თქვენგანი მოვალეა იარაღი აიღოს ხელში, ჩაეწეროს მოხალისეთა რაზმებში და ეკვეთოს მტერს, ვისაც ეს არ შეუძლია, იგი მედგრად უნდა იდგეს თავის პოსტზე და გააძლიეროს მუშაობა.

ყველამ სისწრაფით და ერთსულოვნათ უნდა აღასრულოთ თვითეული განკარგულება მთავრობისა და მისი ორგანოების. თქვენი წესიერი, ბეჯითი და მხნე მუშაობა გაამაგრებს ზურგს, რაც პირველი საქმეა ჩვენი შეარაღებული ძალის გამარჯვებისათვის. ფრონტს ესაჭიროება უდიდესი ზრუნვა და სიყვარული.

მოქალაქენო, არავითარ უთანხმოებას, გაუგებრობას თქვენ შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს, დაივიწყეთ და უკუაგდეთ ყოველივე ეს და თქვენი სიტყვა დღეს ერთი უნდა იყოს: ყველაფერი ფრონტს, მთელი ძალები ომისათვის, რომელმაც უნდა გადაარჩინოს ერთად თქვენი ოჯახები. უნდა გადავარჩინოთ საქართველოს თავისუფლება.

ქალაქის თვითმართველობა დარწმუნებულია, რომ ჩვენი დედა ქალაქი როგორც ყოველთვის ეხლაც თავს დასდებს სამშობლოს ხსნისათვის.

ნუ დააყოვნებთ, ჩაეწერეთ რაზმებში, მიეცით ყველაფერი ფრონტს, არ შეაჩეროთ არც ერთის წუთით მწყობრი და ენერგიული მუშაობა, ყოველი წამი ძვირფასია ჩვენი ხსნისათვის.

**ტფ. ქალაქის თვითმართველობა.**

,,მოქალაქენო! საქართველოს უბედურობა შენი უბედურობაა, ბედნიერება კი—შენი ბედნიერება. მაშ დაიცავი სამშობლო შენი‘‘.

## სხვა და სხვა ამბავი.

**დედა ქალაქში.**

რესპუბლიკის დედა ქალაქს, დათალხულს წინა დღის სამწუხარო ამბებით, გუშინ მზიანი დღე გაუთენდა პირველად, ფრონტიდან სასიამოვნო ცნობების მოსვლის შემდეგ და იმ აღტყინებულ ენტუზიაზმით, რომელიც პროვინციიდან იხილა. მყის გასროლილმა ლოზუნგმა „სამშობლო განსაცდელშია“ ფეხზე დააყენა მთელი საქართველო და მამულის თავდამცველ ვაჟკაცებმა „ხელი ხმალს იკრეს“. ბუნებამაც სტყორცნა მას თვისი უხვი სხივები.

**სურსათ-სანოვაგე მცხოვრებთათვის.**

ქალაქის თვითმართველობა იუწყება, რომ ტფილისში და მთელ რესპუბლიკაში მცხოვრებნი დაკმაყოფილებულნი იქნებიან სურსათ სანოვაგით. ქალაქის კოოპერატივებში და დუქნებში გაიყიდება ბაზრის ფასებთან შედარებით იაფ ფასიანი პური. მიღებულია ზომები ფქვილის საკმაო რაოდენობის შემოსატანათ. წინასწარ თადარიგს ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა.

**სპეკულიაციის წინააღმდეგ.**

უკვე რამდენიმე პირი შეიპყრეს. ის ვაჭარნი, რომელნიც ხელოვნურად ასწევენ ფასს სურსათ-სანოვაგეზე პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

**პროვოკაციის წინააღმდეგ.**

ის მცხოვრებნი, რომელნიც ხალხში ცრუ ხმებს ავრცელებენ და ამით ხალხის განწყობილობაში ნერვიულ მდგომარეობას და პანიკას ჰქმნიან უსასტიკესი ზომებით დაისჯებიან, როგორც რესპუბლიკის მოღალატენი.

**ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯარში.**

ცნობილი ანარქისტი, კრაპოტკინის მეგობარი 75 წლის მოხუცი დიდი მოღვაწე კაცი ვარლამ ჩერქეზიშვილი მოხალისეთა ჯარში ჩაეწერა.

**ქალაქის საბჭოში.**

ქალაქის საბჭოში 17 თებერვალს შესდგა საგანგებო სხდომა, რომელზედაც თავმჯდომარემ ალ. ლომთათიძემ თავის მოხსენებაში გააცნო ხმოსანთ და ხალხს საქმის მდგომარეობა. საბჭომ მიიღო მთელი წყება დადგენილებათა სურსათისა და ბინის საკითხის შესახებ და აირჩია საგანგებო კომისიები. სხვათა შორის გადაწყდა ჩამოერთვას ქალაქიდან გაქცეულთ პირთ ბინები, სასტიკი ყურადღება მიექცეს სიძვირეს და გამოცხვეს მჭადი რომელიც დაურიგდებათ მცხოვრებთ გირ. 40 მანეთში.